გაუმართლებელი ექსპერიმენტები
“დინამო” (მოსკოვი) – “დინამო” (თბილისი)

როცა თამაშის წინ მოთელვაზე გამოვიდნენ თბილისისა და მოსკოვის დინამოელები, მაყურებლებმა თბილისის გუნდი სანახევროდ შეცვლილი იხილეს. დაშავებული ხოჭოლავას ნაცვლად მარცხენა მცველად რუსაძე თამაშობდა, შუაში – გოგლიძე, ნახევარდაცვაში მახარაძე დავარაშვილმა შეცვალა, მარჯვენა გარემარბად “მობილიზებულ” იქნა კ. გაგნიძე, მარცხენა ფრთიდან მარჯვენა შუამარბის ადგილზე გადმოინაცვლა იამანიძემ. მე–11 ნომრად, შეუჩვეველ ადგილზე, ისიც თითქმის ორი თვის ავადმყოფობის შემდეგ თამაშობდა ჩიჩუა. საბოლოოდ თბილისის გუნდს ამგვარად “შეკოწიწებული” სახე ჰქონდა: მარღანია, ელოშვილი, გოგლიძე, რუსაძე, დავარაშვილი, ვარდიამიდი, კ. გაგნიძე, იამანიძე, კალოევი, ღოღობერიძე, ჩიჩუა. მოსკოვის ”დინამო” კი თავისი სტაბილური შემადგენლობით თამაშობდა – იაშინი, როდიონოვი, კრიჟევსკი, ბ. კუზნეცოვი, სოკოლოვი, ცარიოვი, შაბროვი, ფედოსოვი, ი. კუზნეცოვი, ილინი, რიჟკინი.

პირველი 10 წუთის მანძილზე გუნდები თანაბარი ძალით იბრძოდნენ. მარღანიამ და იაშინმა რამდენიმე იოლი ბურთი აიღეს, ორივე გუნდის მცველები წარმატებით უმკლავდებოდნენ მოწინააღმდეგე თავდამსხმელებს. შემდგომში თანდათან, მეთოდურად მოედანს დაეუფლნენ მოსკოველები. სტუმრების დაცვა როგორც ინდივიდუალურ, ისე ჯგუფურ ბრძოლაში სძლევდნენ თავდამსხმელებს და გეგმიანად, ზუსტი მისამართით აგზავნიდნენ წინ ბურთებს. მაღალკვალიფიციურად, მეტად პროდუქტიულად თამაშობდა ნახევარდაცვა, რომელმაც შეძლო მჭიდრო კონტაქტის დამყარება დაცვასა და თავდასხმას შორის. ყოველი გადაცემის დროს ბურთის მიმღები თავდამსხმელი სწრაფად გამოდიოდა თავისუფალ ადგილას და შემდეგ დროულად აწვდიდა წინ ბურთს მოედნის თავისუფალ მონაკვეთში.

სტუმრებმა თავისი შეტევა ძირითადად მარჯვენა მხრიდან წარმართეს, სადაც სწრაფი და ტექნიკური შაბროვი სისტემატურად იგებდა ბრძოლას რუსაძესთან.

პირველ ტაიმში თბილისელთა თავდასხმას რეალური არაფერი არ გაუკეთებია. სულ სამ–ოთხჯერ, ისიც სხვათაშორის, ჩაება თამაშში ჩიჩუა, უსარგებლოდ დარბოდა მოედანზე იამანიძე, ჩაკეტილი იყვნენ ღოღობერიძე და გაგნიძე. მხოლოდ კალოევი თამაშობდა შედარებით უკეთესად კრიჟევსკის წინააღმდეგ, რომელიც ყველაზე სუსტია მოსკოვის “დინამოს” დაცვაში.

თამაშის დასაწყისიდან შაბროვი მრავალჯერ გავიდა მარცხენა ფრთაზე და სახიფათო მდგომარეობა შექმნა თბილისელთა კართან. 37–ე წუთზე მისი ერთ–ერთი მორიგი გარღვევა უაღრესად ზუსტი გადაცემით დამთავრდა. ილინი მშვიდად გავიდა დაუცველ ტერიტორიაზე და მარღანიასთან პირისპირ დარჩენილმა გაიტანა ბურთი – 1:0. მალე რუსაძის მხრიდან კიდევ 5–6 გარღვევა მოხდა, რომელთაგან ერთი შაბროვმა გოლით დაამთავრა. ეს მოხდა ტაიმის ბოლო წუთზე – 2:0.

მეორე ტაიმი თბილისელთა მწვავე, მაგრამ სტიქიური იერიშებით დაიწყო. მე–13 წუთზე მოსკოველთა კართან სახიფათო მომენტში კრიჟევსკიმ მოტრიალებით დაარტყა. ბურთს დაეუფლა გაგნიძე და…. ანგარიში 1:2 გახდა. ათიოდე წუთის შემდეგ ღოღობერიძემ მარცხენა მხრიდან დაბალი ბურთი ჩააწოდა ცენტრში და კალოევმა ანგარიში გაათანაბრა – 2:2.

თამაში გამოცოცხლდა, მოსკოველთა რიგებს არეულობა დაეტყო, ხოლო მასპინძლებმა რამდენიმე კარგი შეტევა ჩაატარეს. მაგრამ ეს გრძელდებოდა 33–ე წუთამდე, როცა რუსაძემ კვლავ დაუშვა უხეში შეცდომა – შაბროვი შეიჭრა მარჯვენა

ფრთაზე, გადასცა ფედოსოვს. ამ უკანასკნელმა ილინს, ხოლო ილინმა ი. კუზნეცოვს. დარტყმა. გოლი – 3:2.

და აი, როცა თამაშის ბოლომდე დარჩენილი იყო 14 წუთი, თბილისელთა კარში ერთი მეორის მიყოლებით გავიდა ბურთები. ჯერ ცარიოვმა ზედ კარის ხაზიდან გაიტანა ბურთი, შემდეგ, უკვე გონგის მერე, კუზნეცოვმა და ილინმა (პენალტიდან) "დაამრგვალეს" ანგარიში.

თბილისის "დინამოს" ხელმძღვანელობის ექსპერიმენტი მეტად მცდარი გამოდგა, არც შეიძლება გუნდის შემადგენლობაში ასეთ მკვეთრ ცვლილებას შეთანხმებული, გეგმიანი თმაში მოჰყოლოდა. შედეგი სავსებით ლოგიკურია – 6:2 მოსკოვის "დინამოს" სასარგებლოდ.

ს. ხორავა.

"ლელო", 3 აგვისტო, 1955 წ.